ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო
AGENCY

N(N)LP TBILISI'S KINDER GARTEN MANAGEMENT

№ 2/261 29.06 2015 წ.

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს"
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო"–ს მიერ 2015 წლის 24 აპრილს გამოცხადდა კონკურსი **ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.23.024.069) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის შესახებ.** აღნიშნულ კონკურსსში მონაწილეობა მიიღო კონკურსანტმა **შპს „კვადრმა" (ს/კ 400019724).** საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით 2015 წლის 17 ივნისს გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „კვადრი"**და მოწვეულ იქნა შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა (იხ. დანართი ოქმი #4 17.06.2015).

2015 წლის 26 ივნისს 1/906 წერილის საფუძველზე გამარჯვებულმა კონკურსანტმა **შპს „კვადრმა" (ს/კ 400019724)** უარი განაცხადა ზემოთხსენებულ კონკურსსში ხელშეკრულების გაფორმებაზე. წერილში მითითებულია, რომ „ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს საშუალება გავაგრძელოთ ჭიჭინაძის ქ. #1-ში დაპროექტებული ბაგა-ბაღის საკონკურსო პროექტის დანუშავება და გულისტკივილით ვწყვეტთ თანამშრომლობას".

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 24-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ აცნობოს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს".

ტელეფონი : (32) 2 37 82 43
ელ-ფოსტა : kids@tbilisi.gov.ge
მისამართი : ქ.თბილისი, 0186, მიცკევიჩის ქ#29/29ა 29ª

Phone: (32) 2 37 82 43
E - mail: kids@tbilisi.gov.ge
Address: Tbilisi., 0186, Mitskevichi ave #29-

ვინაიდან, **ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.23.024.069) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის კონკურსში** გამარჯვებულმა კონკურსანტმა **შპს „კვადრმა“ (ს/კ 400019724)** უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე დარეგისტრირებულ იქნას შავ სიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, ზემოთხსენებული **კონკურსს #1637** მიანიჭოთ სტატუსი - **„კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით“.**

პატივისცემით,

თემურ თორდინავა

სააგენტოს დირექტორი